ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2743501

ნომერი: AR1424268

თარიღი : 19.07.2016

გაცემის თარიღი : 03.08.2016

გაცნობის თარიღი : 03.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია (ყოფ.კახოვსკი), N8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჟენია ზაქარაშვილი პ/ნ 01030020597
- თბილისი ნ.ჩხეიძის ქ. N 30

ორგანიზაცია:
- შპს "კლასიკ დეველოპმენტ" კოდი: 402020184

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1424268 (19.07.16.) ელექტრონული განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში კედიას ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით: #01.13.06.008.078 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად №2051226 (21.08.15.) ბრძანებით მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირების გამო ახალი საკადასტრო კოდის დასაფიქსირებლად, გაცნობებთ: მითითებულ საპროექტო არეალზე, რომლის ამორიცხვაც გსურთ ზემოაღნიშნული ბრძანებიდან გათვალისწინებულია ობიექტთან მისასვლელი გზის მოწყობა. შესაბამისად ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით აღნიშნული არეალის ერთიანი პროექტიდან ამოღება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ამასთან თავდაპირველ არეალზე #01.13.06.008.078 საკადასტრო ერთეულზე, რომელზეც გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე მინიჭებულია ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: კ–1=0.6 და კ–2=4.2, შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს საბჭოს. საკადასტრო ერთეულის შემცირების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ვეღარ განხორციელდება მინიჭებული პარამეტრით, მითუმეტეს, რომ წარმოდგენილი ტერიტორია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილების მიხედვით ყვება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) შეზღუდვის არეალში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.